რწმუნებულება

ორი ათას ცხრამეტი წლის 02 დეკემბერს ივერი ჭალიძე (პ/ნ: 01023011793), როგორც შპს „არქი დეველოპმენტი“-ს (ს/კ: 404979779) დირექტორი, რომელიც შემდგომში მოხსენიებულია, როგორც “მარწმუნებელი“, შპს „არქი დეველოპმენტი“-ს მეორე დირექტორს, თენგიზ წულაიას (პ.ნ 37001018394), რომელიც შემდგომში მოხსენიებულია, როგორც “რწმუნებული“, ანიჭებს უფლებამოსილებას კომპანიის სახელით განახორციელოს შემდეგი მოქმედებები:

1. წარმოადგინოს მარწმუნებელი ქ. თბილისის მერიაში და მის საქალაქო სამსახურებში, მათ შორის თბილისის არქიტექტურაში, რათა განახორციელოს ნებისმიერი მოქმედება, რომელიც დაკავშირებული იქნება მარწმუნებლის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მშენებლობის პროექტის შეთანხმებასთან ან/და მშენებლობის ნებართვის აღებასთან, კორექტირებასთან, ექსპლუატაციაში მიღებასთან ან/და დემონტაჟთან და პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მოქმედება, წარადგინოს არქიტექტურული პროექტი შესათანხმებლად, განახორციელოს პროექტის კორექტირება / შეიტანოს ცვლილებები არსებულ პროექტში, აგრეთვე შეიტანოს განცხადებები, მოითხოვოს გრგ-ს კორექტირება, წარადგინოს და მიიღოს ყველა საჭირო ცნობა და დოკუმენტი მარწმუნებლის სახელით; მოაწეროს ხელი ნებისმიერ დოკუმენტს მარწმუნებლის სახელით და განახორციელოს ყველა მოქმედება, რომელიც დაკავშირებული იქნება ზემოთ აღნიშნული დავალებების შესრულებასთან, აგრეთვე მოქმედი კანონმდებლობით აუკრძალავი ნებისმიერი მოქმედება, რაც პირდაპირ არაა გათვალისწინებული ამ რწმუნებულებით, მაგრამ აუცილებელია მარწმუნებლის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად.

2. არავინ შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს რწმუნებულის უფლებამოსილება იმის გამო, რომ წინამდებარე რწმუნებულებაში ის ამომწურავად არ არის ჩამოთვლილი. რწმუნებული უფლებამოსილია შეასრულოს სხვა ნებისმიერი მოქმედება, რაც პირდაპირ არ არის მითითებული ამ რწმუნებულებაში, მაგრამ აუცილებელია მარწმუნებლის უფლებების და კანონიერი ინტერესების დასაცავად;

3. წინამდებარე რწმუნებულება გაცემულია 2019 წლის 02 დეკემბერს და მოქმედებს ერთი წლის ვადით.

ივერი ჭალიძე

შპს „არქი დეველოპმენტი“-ს დირექტორი

02.12.2019

შპს "არქი დეველოპმენტი" ARCHI DEVELOPMENT 404979779 "ARCHI DEVELOPMENT" LTD

032 2 602 602
info@archi.ge
www.archi.ge
ყიფშიძის ქ .15 , 0162 , თბილისი , საქართველო